საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუდამაყრის არაგვი

გუდამაყრის არაგვი, შ ა ვ ი ა რ ა გ ვ ი, მდინარე აღმ. საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 30 კმ, აუზის ფართ. 240 კმ^2.

სათავეს იღებს მთა ჭაუხის დას. კალთაზე, ზ. დ. 2940 მ სიმაღლეზე. დაბა ფასანაურთან მარცხნიდან ერთვის მდ. მთიულეთის (თეთრ) არაგვს. მთავარი შენაკადია ბაკურხევი. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 7,96 მ^3/წმ. ზამთრობით უჩნდება ყინულნაპირისი, თოში, ფსკერის ყინული.

ი. აფხაზავა